ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

იურიდიული ფაკულტეტი

ნათია აფციაური

დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესში

(შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სისხლის სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: **ნინო გოგნიაშვილი**

აკადემიური თანამდებობა: ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი,

სამართლის დოქტორი

თბილისი

2019

დადასტურება ნაშრომის ორიგინალობის შესახებ

აღნიშნული ნაშრომი შესრულებულია ჩემ მიერ. არ გამომიყენებია ლიტერატურა სათანადო მითითებების გარეშე და ვაცნობიერებ, სიყალბის გამოვლენის შემთხვევაში ჩემი შედეგის ბათილად ცნობისა და შესაბამისი პროგრამიდან აღდგენის უფლების გარეშე გარიცხვის რეალობას.

თარიღი:

ხელმოწერა:

აბსტრაქტი

2010 წლის 1 ოქტომბრის ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მთლიანად შეიცვალა სისხლის სამართალწარმოების სისტემა და რეფორმის ფარგლებში დამკვიდრდა მხარეთა შეჯიბრებითობა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან „შენაძენს“ წარმოადგენს იგი და გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით.

დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესში სწორედ რომ შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით უნდა მოქმედებდეს, ისევე, როგორც პროცესის სხვა მონაწილენი. დაზარალებული აღარ წარმოადგენს პროცესის მხარეს, იგი პროცესის მონაწილეა და შესაბამისად ცვლილებების საფუძველზე მკვეთრად შეიზღუდა მისი უფლებებიც. როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებშიც, დაზარალებულისთვის მეტად მნიშვნელოვანია სტატუსის და სამართლიანი უფლების მოპოვება. სწორედ ამიტომ აუცილებელია მისი მეტად ინფორმირებულობა გამოძიების მიმდინარეობასა და საქმის მასალების გაცნობაზე, რათა აღარ გაიზარდოს დანაშაულის მსხვერპლთა საჩივრები, რომლებიც ეხება დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმას.

საკვანძო სიტყვები: დაზარალებული, დაზარალებულის საპროცესო უფლებები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

Abstract

The New Criminal Procedure Code of October 1, 2010 completely changed the system of criminal justice system and adversarial adversarial action was adopted within the framework of the reform. It is one of the most important "acquisitions" of the Criminal Procedure Code of Georgia and is guaranteed by the Constitution of Georgia.

In the criminal case, it should be based on the principle of adversarial and equality, as well as other participants of the process. The victim is no longer a part of the process, it is a participant in the process and accordingly the rights have been limited to its rights. In Georgia and abroad, it is important for the victim to gain status and fair right. That is why it is necessary to know more about the investigation and the case materials, in order not to increase the complaints of victims of the victims who refuse to be victims.

Keywords: Victims, Procedural Rights of the Victim, Criminal Procedure Code.

სარჩევი

შესავალი----------6

თავი I. დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესში----------9

1.1.დაზარალებულის ცნება----------9

1.2.პირის დაზარალებულად ცნობის საფუძველი----------12

1.3.დაზარალებულის პროცესუალური როლი----------16

თავი II. დაზარალებულის უფლებები საპროცესო შეთანხმების ეტაპზე----------18

2.1. საქმის მასალების გაცნობისა და სისხლის სამართალწარმოების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება----------21

2.2. დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიღების უფლება----23

2.3. დაზარალებულის დაცვა ხელახალი ვიქტიმიზაციისაგან----------26

2.4. დაზარალებულის უფლებები საპროცესო შეთანხმებისას----------31

თავი III. არასრულწლოვანი დაზარალებული----------33

თავი IV. დაზარალებული, როგორც მოწმე----------35

თავი V. კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები და პრობლემატიკა----------38

თავი VI. რეკომენდაციები----------41

დასკვნა----------43

ბიბლიოგრაფია----------44

შესავალი

საკვლევი თემის აქტუალობა: ნებისმიერი თანამედროვე, დემოკრატიული სახელმწიფოს მოვალეობას წარმოადგენს ქვეყანაში სამართლებრივი ნორმების დაცვაზე კონტროლი და სამართალდარღვევის აღკვეთა. გამომდინარე იქიდან, რომ სამართალდარღვევის აღკვეთის უფლებამოსილება მხოლოდ სახელმწიფოს ენიჭება, დანაშაულის შედეგად დაზარალებულებს არ აქვთ უფლება სამართლიანობა თავად აღადგინონ ძალადობით ან თავად გაუსწორდნენ დამნაშავეს იძულების ღონისძიების გამოყენების გზით. დემოკრატიულ სახელმწიფოში განსაკუთრებული ყურადღება უნდა ეთმობოდეს დაზარალებულს, გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი კანონიერი ინტერესები და მოთხოვნები. საერთაშორისო სამართლით და სახელმწიფოთა პრაქტიკით აღიარებულია დაზარალებულის უფლებების აღდგენა, რაც უნდა წარმოადგენდეს მართლმსაჯულების ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს. ინკვიზიციურიდან შეჯიბრებით სისტემაზე გადასვლამ საქართველოში მნიშვნელოვნად შეკვეცა დაზარალებულის უფლებები. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ხშირად დაზარალებულები ვერ სარგებლობენ იმ უფლებებითაც, რაც მათ კანონმდებლობით აქვთ მინიჭებული. ხშირად პირს უარს ეუბნებიან დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე და მათ, ვისაც აქვს აღნიშნული სტატუსი, არ მიეწოდებათ ინფორმაცია მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია ასევე სახელმწიფომ საშუალება მისცეს დანაშაულის შედეგად დაზარალებულს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მოახდინოს საკუთარი უფლებების რეალიზება. იმ შემთხვევაში თუ ეს არ მოხდა და სახელმწიფო უგულებელყოფს დანაშაულის შედეგად დაზარალებულის ინტერესებს, ეს გამოიწვევს საზოგადოების ნდობის დაქვეითებას მართლმსაჯულებისა და მართლწესრიგის მიმართ. თუმცა, ყოველივე ზემოაღნიშნული არ ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირის ყველა მოთხოვნა შეასრულოს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა ეთმობოდეს იმ ფაქტს, რომ ვინც დანაშაულის შედეგად ერთხელ უკვე დაზარალდა, აღარ განიცადოს ხელახალი ვიქტიმიზაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის განსაზღვრას. აღნიშნული საკითხი აქტუალობას დღემდე არ კარგავს. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ნაშრომში განხილულ იქნება საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა, ასევე ნაშრომი შეეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, რასაც წარმოადგენს არასრულწლოვანი დაზარალებულის შესახებ არსებული საკანონმდებლო აქტების განხილვა, ასევე შესაბამისად განხორციელდება შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, რაც საშუალებას მისცემს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომ უკეთ გაერკვეს დაზარალებულის სამართლებრივ მდგომარეობაში საზღვარგარეთის ქვეყნების და ადგილობრივი კანონმდებლობის საფუძველზე და მოახდინოს მათი შედარება.

კვლევის მიზნები და ამოცანები: ნაშრომის მიზანს წარმოადგენს დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის შესწავლა და განხილვა როგორც საქართველოს კანონმდებლობის, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით, შედარებით-სამართლებრივი ანალიზის ჩატარება და იმ საერთო თუ განმსახვევებელი ნიშნების გამოვლენა, ასევე რეკომენდაციების შემუშავება, რაც შესაძლოა მომავალში გახდეს რეფორმის საფუძველი. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე გამოიკვეთა შემდეგი ამოცანები:

- დაზარალებულის პროცესუალური როლის განსაზღვრა;
- დაზარალებულის საპროცესო უფლებების შესწავლა და ანალიზი;
- შედარებით-სამართლებრივი განხილვა და ანალიზი საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობისა.

კვლევის ობიექტი და საგანი: კვლევის ობიექტს წარმოადგენს დანაშაულის შედეგად დაზარალებულთა სამართლებრივი მდგომარეობა როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით. ხოლო რაც შეეხება კვლევის საგანს, იგი წარმოადგენს იმ საერთო თუ განმსახვავებელი ნიშნების გამოვლენას, ასევე შედარებით-სამართლებრივი ანალიზს, რაც ეხება დანაშაულის შედეგად დაზარალებულს როგორც ადგილობრივი კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე.

კვლევის მეთოდოლოგია: ნაშრომში გამოყენებულია ისტორიული, სისტემურ-სტრუქტურული, ლოგიკური, ანალიტიკური, შედარებით-სამართლებრივი, დოკუმენტების და კანონმდებლობის შესწავლის, ანალიზის, ინტერნეტ-მასალის განხილვის მეთოდები. შესწავლილ იქნება როგორც ადგილობრივი, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა დაზარალებულის სამართლებრივ სტატუსთან მიმართებაში. ასევე განხორციელდება მნიშვნელოვანი რეფორმებისა და საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი. საბოლოოდ კი გამოვლენილ იქნება საკანონმდებლო ხარვეზები, შესაბამისად შემუშავებულ იქნება რეკომენდაციები, რაც ვთვლი, რომ ხელს შეუწყობს დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება: **შესავლის, 6 თავის, 7 ქვეთავის, დასკვნის და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან.**

პირველი თავი ეთმობა დაზარალებულს სისხლის სამართლის პროცესში. მასში შედის 3 ქვეთავი: 1. დაზარალებულის ცნება; 2. პირის დაზარალებულად ცნობის საფუძველი; 3. დაზარალებულის პროცესუალური როლი.

მეორე თავი ეხება დაზარალებულის საპროცესო უფლებებს. მასში გაერთიანებულია 4 ქვეთავი: 1. საქმის მასალების გაცნობისა და სისხლის სამართალწარმოების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება; 2. დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიღების უფლება; 3. დაზარალებულის დაცვა ხელახალი ვიქტიმიზაციისაგან; 4. დაზარალებულის უფლებები საპროცესო შეთანხმებისას.

მესამე თავი ეხება არასრულწლოვანი დაზარალებულს.

მეოთხე თავი ეხება დაზარალებულს, როგორც მოწმეს.

მეხუთე თავი ეთმობა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებულ ხარვეზებს, ასევე პრობლემატიკას.

მეექვსე თავი დათმობილი აქვს აღნიშნულ ნაშრომზე მუშაობისას შემუშავებულ რეკომენდაციებს.

ბოლოს კი დასკვნის სახით წარმოდგენილია კვლევის შეჯამებული შედეგები. ნაშრომის ბოლოს კი წარმოდგენილია ის ლიტერატურა, რაც იქნა გამოყენებული აღნიშნულ ნაშრომზე მუშაობისას.

თავი I. დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესში

1.1. დაზარალებულის ცნება

ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში მეტად მნიშვნელოვანია სამართლებრივი ნორმების შექმნა და მათ დაცვაზე კონტროლი. ასევე აუცილებელია სამართალდამრღვევთა დასჯა და დანაშაულის შედეგად დაზარალებულის დაცვა ხელახალი ვიქტიმიზაციისაგან. დაზარალებულს პირებს ეკრძალებათ საკუთარი ძალით და სურვილით გაუსწორდნენ დანაშაულის ჩამდენს და ამ ფორმით აღადგინონ სამართლიანობა. სწორედ ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია ჩაერიოს ზემოაღნიშნულ კონფლიქტში, დასაჯოს დამნაშავე და აღადგინოს სამართლიანობა. სამართლიანობის აღდგენა წარმოადგენს როგორც დამნაშავის, ასევე დანაშაულის მსხვერპლის ინტერესს.

როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში, სადაც არსებობს დანაშაული, ასევე არსებობს დანაშაულის შედეგად დაზარალებულიც.

აღსანიშნავია, რომ „დაზარალებულის“ მდგომარეობის მომწესრიგებელი საკითხები ევროპარლამენტის „დანაშაულის მსხვერპლის უფლებების მინიმალური

სტანდარტებისა და მხარდაჭერის შესახებ“ 2012/29/EU დირექტივას უნდა შეესაბამებოდეს.

გაეროს დეკლარაციაში „დანაშაულებრივი ქმედებების მსხვერპლთა დაცვის შესახებ მე-4 მუხლით აღნიშნულია, რომ დაზარალებულები სარგებლობენ ისეთი უფლებებით, როგორიცაა თანაგრძნობით მოპყრობის უფლება, ღირსების პატივისცემის უფლება. ხოლო ევროპული სასამართლოს 04.05.2001 გადაწყვეტილებით განაცხადი #24746/94, პუნქტი 109 Hugh Jordan v the United Kingdom-ის თანახმად, კი ისინი ჩართულნი უნდა იქნენ გამოძიების პროცესში იმ დონეზე, რაც აუცილებელია მათი კანონიერი ინტერესების უზრუნველსაყოფად.

ზემოაღნიშნულის გარდა სახელმწიფო ასევე მოვალეა იზრუნოს დაზარალებულზე, მოახდინოს მისი კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფა (Kelly and Others v the United Kingdom, ევროსასამართლოს გადაწყვეტილება 4 მაისი, განაცხადი #30054/96 პუნქტები 118,136).

დემოკრატიულ ქვეყნებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დაზარალებულის მდგომარეობას, სახელმწიფოთა უმეტესობას მათი უფლებები კონსტიტუციით აქვს განსაზღვრული. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მსხვერპლის უფლებების სწორი რეგლამენტაცია ქვეყნის კანონმდებლობაში, ამას მოჰყვება საზოგადოების მხრიდან უნდობლობა მართლმსაჯულებისადმი.

იურიდიულ მეცნიერებაში ტერმინი „დაზარალებულია“ ერთგვაროვანი და ცალსახა განმარტება არ არსებობს, რადგან ყველა მეცნიერი მას თავისებურად განმარტავს. დირექტივაში (2012/29/EU) დანაშაულის მსხვერპლში მოიაზრება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მსხვერპლი, რომელიც შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, რომელმაც დანაშაულის შედეგად განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სულიერი ტკივილი ან ეკონომიკური დანაკარგი (მე-2 მუხლი, პუნქტი „a” ქვეპუნქტი „i”) ან ოჯახის წვერი იმ პირისა, რომელიც უშუალოდ გარდაიცვალა დანაშაულის შედეგად და ასევე რომლის გარდაცვალებითაც პირს მიადგა ზიანი (მე-2 მუხლი, პუნქტი „a” ქვეპუნქტი „ii”).

ამერიკელი კრიმინოლოგი Schafer-ის მიხედვით, ვიღაც ან რაღაც ზარალდება/ზიანდება დანაშაულის შედეგად ან ნადგურდება. აქედან გამომდინარე დანაშაულს აუცილებლად ახლავს თან დანაშაულის მსხვერპლიც.[1]

დაზარალებულის ცნებას **საქართველოს** სსსკ-ის მე-3 მუხლის 22-ე პუნქტი განსაზღვრავს: „დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად“.[2]

საზღვარგარეთის ქვეყნებს რაც შეეხება, მაგალითისთვის ქვემოთ მოყვანილია დაზარალებულის ცნება აშშ-ს და კანადის კანონმდებლობის მიხედვით:

კანადაში დაზარალებულია პირი, რომელსაც დანაშაულის შედეგად მიადგა ფიზიკური ან მორალური ზიანი და განიცადა ქონებრივი ზარალი. აღნიშნული ვრცელდება მხლოდ იმ პირებზე, ვინც კანადის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე რეზიდენტი პირია. მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე, მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც პროკურატურაში, ასევე სასამართლოში ჩვენების მიცემისას.

აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით „დაზარალებულია“ პირი ან პირთა ჯგუფი, რომელმაც განიცადა ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანი, ემოციური ტანჯვა, ფინანსური დანაკარგი და არსებითად დაირღვა მისი ფუნდამენტური უფლებები ქმედებით ან უმოქმედობით, დანაშაულის ჩადენის შედეგად. აშშ-ში პირი დაზარალებულად ითვლება მაშინაც, თუ დამნაშავე არაა იდენტიფიცირებული, დაპატიმრებული, მის მიმართ არ წარმოებს სისხლის სამართლებრივი დევნა და არაა ნასამართლევი. ტერმინი „დაზარალებული“ ასევე მოიცავს არა მხოლოდ იმ კონკრეტულ პირს, ვისაც ზიანი მიადგა, არამედ მის ოჯახის წევრებს და პირებს, რომლებიც ჩადენილი დანაშაულის შედეგად დაზარალდნენ.

ზემოაღნიშნული ეხება ყველა პირს, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან სხვა აზრისა, კულტურული რწმენისა, ქონებრივი მდგომარეობისა, ოჯახის სტატუსისა, მისი ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობისა და ინვალიდობისა.

---

[1] შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია-მეცნიერება დანაშაულის შესახებ., გამომც. „მერიდიანი“., 2011 გვ.15;

[2] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2009 წ. 9 ოქტომბერი (კონსოლიდირებული ვერსია).

მთელ რიგ ქვეყნებში (ლატვია, უზბეკეთი, ყირგიზეთი და ა.შ.) იმდენად მნიშვნელოვანია „დაზარალებულის“ როლი სისხლის სამართლის პროცესში, რომ დამნაშავეს სასჯელი განესაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა მოცულობის და სიმძიმის ზიანი მიაყენა მან დაზარალებულს.[3] [4] [5]

როგორც ჩანს „დაზარალებულის“ ცნება ძირითად შემთხვევაში ერთნაირია როგორც საერთაშორისო განმარტებებით, ასევე საქართველოს კანონმდებლობითაც.

1.2.პირის დაზარალებულად ცნობის საფუძველი

საქართველოში იმისათვის, რომ პირმა სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობა მიიღოს, როგორც დაზარალებულმა, საჭიროა მატერიალური და ფორმალური წინაპირობების არსებობა.[6] მატერიალური წინაპირობის არსებობა იმას გულისხმობს, რომ პირს უშუალოდ დანაშაულის შედეგად უნდა მიადგეს ფიზიკური, მორალური ან ქონებრივი ზიანი. ხოლო ფორმალური წინაპირობისას პროკურორს გამოაქვს დადგენილება დანაშაულის მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ.

---

[3] ლატვიის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლი; (1998);
[4] უზბეკეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლი; (1994);
[5] ყირგიზეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლი; (1997).
[6] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები., გამომც. „მერიდიანი“., 2015 გვ.219;

პირის დაზარალებულად ცნობა გამოძიების სტადიაზე ხდება. იმ შემთხვევაში, თუ პროკურორისთვის გამოძიების დაწყევისთანავე ცნობილი გახდება ის, რომ დანაშაულის შედეგად ზიანი მიადგა პირს, იგი დადგენილებით ცნობს ამ პირს დაზარალებულად. პირს დაზარალებულად ცნობენ თუ არა, ეს არაა დამოკიდებული მის ნებაზე, არც ასაკსზე, არც ფიზიკურ თუ ფსიქიკურ მდგომარეობაზე. მას შემდეგ, რაც პროკურორი დაადგენს პირის დაზარალებულად ცნობის მატერიალურ წინაპირობებს, ვალდებულია მას ფორმალურად მიანიჭოს დაზარალებულის სტატუსი.[7]

პირისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება შეუძლებელია მაშინ, როცა საქმე უკვე არსებითად განიხილება სასამართლოში. აღსანიშნავია, რომ პირის დაზარალებულად ცნობა შეიძლება შეიძლება განხორციელდეს ასევე თუ პირი განცხადებით მიმართავს პროკურორს დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ. ამ შემთხვევაში პროკურორმა უნდა დაადგინოს პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის საფუძველი და დააკმაყოფილოს პირის განცხადება და მიიღოს შესაბამისი დადგენილება. თუ განცხადების შეტანიდან 48 საათის განმავლობაში არ დაკმაყოფილდება მისი განცხადება, მას უფლება აქვს ზემდგომ პროკურორს ერთჯერადად მიმართოს დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის მოთხოვნით. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, რომელიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა. თუ ამ შემთხვევაში ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, პირს უფლება აქვს პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.[8]

იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს პროკურორი რომ დაზარალებულად ცნობის საფუძველი არ არსებობს, იღებს გადაწყვეტილებას დადგენილების გაუქმების თაობაზე, რის შესახებაც წერილობით აცნობებს დაზარალებულს. დაზარალებულ პირს უფლება აქვს დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გაუქმების თაობაზე პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან ერთჯერადად. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, რომელიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა. თუ ამ შემთხვევაში ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, პირს უფლება აქვს პროკურორის

[7] იქვე.
[88] სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში სასამართლოს 15 დღის ვადაში გამოაქვს განჩინება ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული პირი გარდაიცვალა, მისი უფლებები და მოვალეობები ენიჭება მის რომელიმე ახლო ნათესავს, რომელიც ხდება „დაზარალებულის უფლებამონაცვლე". გამომძიებელს, პროკურორს და მოსამართლეს უფლება აქვთ უარი უთხრან დაზარალებულის უფლებამონაცვლეს დაზარალებულისთვის მინიჭებული რომელიმე უფლებით სარგებლობაზე. ერთი დონის ახლო ნათესავებს შორის დავის შემთხვევაში დაზარალებულის უფლებამონაცვლე განისაზღვრება წილისყრით.[9]

დიდ ბრიტანეთის მაგალითი მეტად საინტერესოა პირის დაზარალებულად ცნობის თაობაზე. კერძოდ, დიდ ბრიტანეთში დაზარალებული სისხლის სამართლის საქმის განხილვისას „გადაადგილდება სამართალდამცავი სისტემის სხვადასხვა დანაყოფებს შორის". თავდაპირველად ხდება საქმის გამოძიების დაწყება პოლიციის მიერ, რომელიც დაკითხავს დაზარალებულს და ჩამორთმეულ ჩვენებას ასახავს ოქმში. შემდგომ როცა საქმე პოლიციიდან სასამართლოში გადაიგზავნება დაზარალებული უკვე ხვდება სამეფო საოლქო სასამართლოს ან გვირგვინის პროკურატურის იურისდიქციაში, რომელიც ატარებს დამოუკიდებელ გამოძიებას და არ ეფუძნება მათი მოსაზრება პოლიციის აზრს.

დიდ ბრიტანეთში ყველა სისხლის სამართლის საქმე როგორც წესი ქვედა ინსტანციის სასამართლოში - მსოფლიო სასამართლოში იმართება, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მძიმე დანაშაულთან გვაქვს საქმე, მაშინ განსახილველად გადაეცემა ზედა ინსტანციას - სამეფო ჟიურის სასამართლოს. დიდ ბრიტანეთში დაზარალებულს ხშირად უდგინდება ფსიქოლოგიური პრობლემები, რადგან მას ორმაგი პროცედურის გავლა უწევს, რაც უარყოფითად აისახება მის ფსიქიკაზე. დაზარალებული სარგებლობს სპეციალური სტატუსით, თუმცა მას არ აქვს უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. მისი ჩვენება მხოლოდ მაშინ ხდება საჭირო, როცა მას შეუძლია საქმის განხილვაზე ზემოქმედება მოახდინოს და გარკვეული წვლილი შეიტანოს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანაში. ე.ი. დაზარალებული წარმოადგენს რიგით მოქალაქეს,

[9] იქვე. მე-3 პუნქტი.

რომელიც ვალდებულია დაეხმაროს გამოძიებას და სასამართლოს მტკიცებულებათა მოპოვებაში და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში. სწორედ ასეთი მიდგომის გამო დიდი ბრიტანეთის მართლმსაჯულების სისტემას ხშირად წინააღმდეგობრივს და დანაშაულის მსხვერპლისთვის არახელსაყრელს უწოდებენ. დიდ ბრიტანეთში მართლმსაჯულების ადმინისტრირების მთელი პროცესი მიმართულია ბრალდებულისკენ და სასამართლოში საქმის წარმოებისკენ, ვიდრე დაზარალებულის ინტერესებისკენ. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად დიდ ბრიტანეთში დაზარალებულთა ინფორმირებულობა საკმაოდ მაღალ დონეზეა. პოლიციის ოფიცრების ვალდებულებას წარმოადგენს დაეხმარონ დაზარალებულს და დახმარების შესახებ მისცენ დეტალური რეკომენდაციები. პოლიცია ატყობინებს დაზარალებულს გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, დანაშაულის ჩამდენის დაკავების შესახებ, ასევე სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსის შესახებ.

რაც შეეხება **აშშ-ს,** დაზარალებულთა სამართლებრივი მდგომარეობის მარეგულირებელი სისტემა შედარებით გვიან ჩამოყალიბდა, ვიდრე დიდ ბრიტანეთში, თუმცა მან ფუნდამენტურად განსხვავებული განვითარების გზა განვლო. შეერთებული შტატები ზუსტად იცავს და იყენებს საკანონმდებლო მიდგომას მსხვერპლთა სტატუსის შესაცვლელად. ამ სფეროში კანონმდებლობის განვითარება რეგიონალურ დონეზე იქნა გამოჩენილი. 1980 წელს აშშ-ში მიღებულ იქნა კანონპროექტი დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების შესახებ. როგორც მაშინ, დღესდღეობითაც დანაშაულის მსხვერპლთა სტატუსის სამართლებრივი რეგულირება ეფუძნება ფედერალური სახელმწიფოსთვის დამახასიათებელ კანონმდებლობის თანმიმდევრულ პრინციპებს.

ბოლო წლებში ამერიკის შეერთებული შტატები განსაკუთრებულად ზრუნავს იმაზე, რომ დანაშაულის მსხვერპლთა უფლებები იქნას დაცული და შეუქმნას მათ კომფორტი, კერძოდ „უსაფრთხო დასასვენებელი ოთახით“ სარგებლობას და უსაფრთხოების სხვა ზომების მიღებას ითვალისწინებს კანონმდებლობა. რაც შეეხება პოლიციის მიდგომას დაზარალებულებისადმი, აღსანიშნავია მათი გამორჩეული ურთიერთობის მეთოდები. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ მსხვერპლთა მიმართ, არიან სენსიტიურები, გამოირჩევიან მათ მიმართ პატივისცემით. პოლიციის განყოფილებებში შექმნილია მსხვერპლთან მუშაობის სპეციალური დანაყოფები. თანამშრომელთა უმეტეს ნაწილს ქალები წარმოადგენენ, რომელთაც აქვთ ამ სფეროში მრავალწლიანი გამოცდილება და გამოიღცევიან ფსიქოლოგთათვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევებით. ისინი დაზარალებულს ხვდებიან დაუყოვნებლივ,

აღმოუჩენენ მათ პირველ რიგში მორალურ მხარდაჭერას, აძლევენ რჩევებს სამართლებრივ საკითხებზე და ეხმარებიან საჭიროებისამებრ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში უპირატესობას ანიჭებენ კანონმდებლობით მსხვერპლთა მიმართ მიდგომის ქცევის სტანდარტების განსაზღვრას, აუცილებელია, რომ დაზარალებულის ღირსებას ყველა მოეპყრას პატივისცემით. აღნიშნული მოთხოვნა რეგლამენტირებულია ფედერალურ კანონმდებლობაში. აშშ-ში კანონმდებლობა პირდაპირ ავალდებულებს პროკურორებს, რომ დაზარალებულებთან ჩაატარონ საკონსულტაციო სამუშაოები, მისცენ მათ განმარტებები საქმესთან დაკავშირებით.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, აშშ-ში ბრალდებულის უფლებები უფრო ფართოა ვიდრე დაზარალებულისა. დაზარალებული ჩვენებას აძლევს სასამართლოში, მხარს უჭერს ბრალდების მხარეს, მაგრამ მისი აზრი შეიძლება არც იქნას გათვალისწინებული.

1.3. დაზარალებულის პროცესუალური როლი

მეტად მნიშვნელოვან და ამავდროულად პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს დაზარალებულის როლის რეგლამენტაცია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. დღესდღეობით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად დაზარალებულის ინტერესებს სასამართლოში

წარმოადგენს სახელმწიფო. პროკურორს აქვს უფლება დაზარალებულს ან გააცნოს საქმის მასალები სრულად ან გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე შეზღუდოს მათზე წვდომა. მართალია დაზარალებულს შეუძლია სამოქალაქო წესით მოითხოვოს მატერიალური ან მორალური ზიანის ანაზღაურება, მაგრამ მას არ აქვს უფლება გაასაჩივროს განაჩენი იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასჯელს არაადეკვატურად მიიჩნევს. ეს პროცედურა პროკურატურის პრერროგატივას წარმოადგენს.

დაზარალებული არ არის მხარე, შესაბამისად არაერთი კვლევით იქნა დადგენილი, რომ დაზარალებულის უფლებების ზრდა საჭირო აღარაა, რადგან მის ინტერესებს წარმოადგენს ბრალდების მხარე. ის, რომ სამომავლოდ მოხდეს დაზარალებულის მხარედ წარმოდგენა, გამოიწვევს პროცესის კიდევ უფრო გაჭიანურებას. კერძოდ, კვლევებში (მაგ: „ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრის“ მიერ, ასევე „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“, „ინფორმაციის თავისუფლად განვითარების ინსტიტუტთან“ ერთად ჩატარებული თვისებრივი კვლევა 27.02.2019 – 29.03.2019წ. პერიოდში) მონაწილენი აღნიშნავენ, რომ დაზარალებული ეცნობა საქმის მასალებს, საგამოძიებო მოქმედებებს, ბრალის წარდგენას და ა.შ. ასევე საპროცესო შეთანხმების გაფორმებაც დაზარალებულს უნდა ეცნობოს და უნდა დაფიქსირდეს მისი პოზიცია თანახმაა თუ არა, რომ ბრალდებულს, დამნაშავეს გაუფორმდეს საპროცესო შეთანხმება. იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულს ექნება სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების უფლება, ეს გამოიწვევს პროცესის უსაფუძვლო გაჭიანურებას და ამავდროულად ბრალდების მხარე დამოკიდებული იქნება კონკრეტული პირის პოზიციაზე.[10]

ზემოაღნიშნულის საწინააღმდეგოდ ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ დაზარალებულის პროცესუალური როლი უნდა იყოს გაზრდილი და გააქტიურებული გარკვეული მიმართულებებით. მაგ: დაზარალებულს უნდა ჰქონდეს მტკიცებულებათა წარდგენის უფლება. მას ასევე უნდა შეეძლოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება. დაზარალებულის მონაწილეობა სასამართლოში საქმის განხილვისას შემოიფარგლება მხოლოდ მისი მოწმის სახით დაკითხვით.[11] მართალია დაზარალებული პროცესში მხარედ ვერ ჩაერთვება, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს გარკვეული ბერკეტები იმ შემთხვევებისთვის, თუ პროკურორი აცდება დაზარალებულის ინტერესს და დაზარალებული მას არ დაეთანხმება ბრალის არსის ან

[10] https://emc.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98_1561546025.pdf [07.07.2019]

[11] იქვე.

კვალიფიკაციის ნაწილში. ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ დაზარალებულს გააჩნდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება ისე, რომ არ ჩაერთოს პროცესში როგორც მხარე. მაგ: როდესაც სასამართლო დამნაშავეს უსჯის მაქსიმუმის ნაცვლად მინიმუმს, დაზარალებულის კი მიადგა დიდი ზიანი, ამ შემთხვევაში მისი პროცესუალური როლი დაკნინებულია, რადგან მანდ მთავრდება მისი უფლებები.

დაზარალებულისთვის სტატუსის მინიჭების პროცესს რაც შეეხება, იმ შემთხვევაში თუ დაზარალებული მიიღებს უარს პროკურორისგან და შემდგომ ზემდგომი პროკურორისგანაც, მას შეუძლია ერთჯერადად გაასაჩივროს სასამართლოში აღნიშნული გადაწყვეტილება. ამ დროს სასამართლო მსჯელობს იმ საკითხზე რამდენად მნიშვნელოვანია ეს ზიანი, ნამდვილად მიადგა თუ არა ზიანი, როგორი ზიანი მიადგა დაზარალებულს ფიზიკური, მატერიალური თუ მორალური და ა.შ. ამ შემთხვევაში კონკრეტული მოსამართლე ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას. ეს კი შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს შეჯიბრებითობის პრინციპს. ამიტომ საჭიროა დაზარალებულისთვის სტატუსის მინიჭების საკიტხი საკანონმდებლო დონეზე იქნას მოწესრიგებული და კანონში გაიწეროს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს მოსაზრება, რომელიც გულისხმობს დაზარალებულის საპროცესო როლის გააქტიურებას და მისი უფლებების გარკვეული იმართულებით ზრდას, აუცილებელია, გამომდინარე იქიდან, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი სრულად იქნას დაცული სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, რაც წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიულობის განვითარების წინაპირობას.

თავი II. დაზარალებულის უფლებები საპროცესო შეთანხმების ეტაპზე

დაზარალებულის საპროცესო უფლებების დაცვა დღესდღეობით მეცნიერთა ყურადღების ცენტრშია მსოფლიო მასშტაბით. ამას მოწმობს კრიმინოლოგიაში ასახული ცვლილებებიც, რომელიც მისი დაარსებიდან იკვლევს დანაშაულის განვითარებაზე გარემო ფაქტორების ზემოქმედებას. II მსოფლიო ომის შემდეგ დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობისადმი ინტერესი მეტად გაძლიერდა.[12] ევროპის ქვეყნებში უმთავრესია დაზარალებულის ინტერესები იქნას დაკმაყოფილებული და ის არ შემოიფარგლება მხოლოს ფინანსური ან ქონებრივი დაკმაყოფილებით. იგი გულისხმობს დამნაშავის დასჯასაც. დაზარალებულთა უფლებებზე გამუდმებით მსჯელობს ევროპული სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში, ასევე ევროკავშირის დონეზე მიღებულ რეკომენდაციებსა და დირექტივებში. დანაშაულის მსხვერპლის უუფლებოდ დატოვება ყოვლად გაუმართლებელი და მიზანშეუწონელია.[13]

ევროკავშირის ფარგლებში მიღებული ინსტრუმენტები აყალიბებენ მთელ რიგ რეკომენდაციებს, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ სახელმწიფოებმა დაზარალებულთა დაცვის უზრუნველსაყოფად.[14] დაუშვებელია დაზარალებულთა ღირსების შელახვა როგორც სასამართლო დარბაზში, ასევე მის გარეთაც. მას უნდა გააჩნდეს მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე ხელმისაწვდომობის უფლება დაცული. ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის 47-ე მუხლით ერთიანი სასამართლოს უფლებაა გარანტირებული. აღნიშნული მუხლი ერთმანეთისგან არ ასხვავებს ბრალდებულის და დაზარალებულის უფლებას ერთიან სასამართლოსა და ეფექტურ დაცვაზე. მასში აღნიშნულია, რომ დაზარალებულს უფლება აქვს წარმომადგენლობაზე, სამართლებრივი დახმარების მიღებაზე, გონივრულ ვადაში საჯარო განხილვაზე და ა.შ.[15]

ასევე აღსანიშნავია ევროკავშირის 2012 წლის დირექტივა „დაზარალებულთა უფლებების მინიმალური სტანდარტების, მათი დახმარების და დაცვის შესახებ“, სადაც განსაზღვრულია ის უფლებები, რომლითაც უნდა სარგებლობდეს დაზარალებული. მასში მოცემულია დაზარალებულის უფლება მიიღოს სამართლებრივი და სხვა სახის

---

[12] ტრექსელი, შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში., Oxford University Press., 2009 გვ. 60;

[13] იქვე. გვ.61;

[14] Treaty on the Functioning of the EU, Article 82 2 (c);

[15] Victims of crime in the EU: the extent and nature of support for victims, European Union Agency for Fundamental Rights, Luxembourg, 2014, 28;

დახმარება.[16] დანაშაულის მსხვერპლად მიჩნეულია პირი, რომელსაც არამართლზომიერი ქმედების შედეგად მიადგა ფიზიკური, ემოციური, ეკონომიკური და მენტალური დანაკარგი. ასევე მსხვერპლად მოიაზრებიან იმ პირთა ოჯახის წევრებიც, რომელთა გარდაცვალება პირდაპირ კავშირშია არამართლზომიერ ქმედებასთან.[17]

ზემოაღნიშნული დირექტივა ასევე ითვალისწინებს იმას, რომ დაზარალებულს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია სრულყოფილად და მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართალწარმოებაში. სისხლის სამართალწარმოებაში მონაწილეობის მიღების უფლება გულისხმობს იმას, რომ დანაშაულის მსხვერპლი უნდა იქნას მოსმენილი და მიეცეს შესაძლებლობა წარადგინოს მტკიცებულებები.[18] აუცილებელია, რომ მის მიერ მიღებული ინფორმაცია იყოს მისთვის გასაგებ ენაზე და თუ ეს ასე არ იქნება, მას უფლება აქვს მოითხოვოს თარჯიმნის მომსახურება სახელმწიფოს ხარჯზე.

გერმანულ სისხლის საპროცესო სამართალში პირის, როგორც დაზარალებულის აღიარება ხდება უშუალო მტკიცებულებების საფუძველზე. დაზარალებულები ძირითადად სასამართლოში იკითხებიან, თუმცა არსებობს ასევე სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევები, როცა ხდება პოლიციის ან გამოძიების ორგანოების მიერ მისი წინასწარი დაკითხვა.[19] აუცილებელია გერმანული სამართლის მიხედვით დაცული იყოს დაზარალებულთა კონფიდენციალურობა, რათა არ გახდნენ შურისძიების მსხვერპლნი შემდგომში.[20] ასევე დაცული უნდა იქნას მათი უსაფრთხოება და უფლება აქვთ მიიღონ ფსიქოლოგიური, იურიდიული, მატერიალური და სხვა სახის დახმარებები.[21]

საფრანგეთში 1982 წლის 2 თებერვალს და 1983 წლის 8 ივლისს მიღებულ იქნა კანონები „დანაშაულის მსხვერპლთა დაცვის გაძლიერების შესახებ“. აღნიშნული კანონები ითვალისწინებს სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ, იურიდიულ და სხვა სახის დახმარებას. ასევე დაზარალებულის სისხლის სამართლის პროცესში გაწეული მატერიალური დანახარჯების 70%-ის სრულ

---

[16] Smith C. Alyna., GUIDE TO THE EU VICTIMS' DIRECTIVE: ADVANCING ACCESS TO PROTECTION, SERVICES AND JUSTICE FOR UNDOCUMENTED MIGRANTS, 2015, 12,

[17] DIRECTIVE 2012/29/EU OF THE EUROPIAN PARLIAMENT AND OF THE COUNSIL of 25 October 2012, establishing minimum standards on the right, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Article 2.

[18] Ibid, Artcle 10.

[19] გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი., 250-ე მუხლი. (1998);

[20] Зайцев О.А. Государственная защита участников уголовного процесса., М., 2002. С. 177;

[21] Воробьев И.А. Организованная преступность и борьба с ней в Германии. М., 1996. С. 68.

და დროულ ანაზღაურებას.[22] საფრანგეთის კანონმდებლობით, ისევე როგორც გერმანული კანონმდებლობით დაცულია დაზარალებულთა კონფიდენციალურობა და შეუსაბამო კონტაქტებისგან დაცვაა გარანტირებული. მათ უფლება აქვთ იყვნენ იზოლირებულნი გარე სამყაროსგან, ასევე აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი, სამუშაო, სასწავლო დაწესებულება, დასვენების დრო, მიიღონ ფსიქოლოგიური, იურიდიული, მატერიალური და სხვა სახის დახმარებები.[23]

ისეთ ქვეყნებში როგორიცაა **ნორვეგია, ფინეთი, შვედეთი** სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დაზარალებულს უფლება აქვს აქტიურად ჩაერთოს სისხლის სამართლის საქმის განხილვაში, პროცესში გამოვიდეს როგორც კერძო ბრალმდებელი, დაიცვას პირადი ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები.

სხვადასხვა ქვეყანაში დაზარალებულთა მდგომარეობის შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავადგინოთ, რომ ყველა ქვეყანაში დაცული უნდა იქნას დაზარალებულთა ღირსება და უსაფრთხოება. დღესდღეობით 76 ქვვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს დაზარალებულთა დასახმარებლად სპეციალური ორგანიზაციების შექმნას, რომლებიც მათ უწევენ მორალურ, ფსიქოლოგიურ, იურიდიულ, მატერიალურ, ტექნიკურ და სხვა სახის დახმარებებს.

---

[22] Меньших А. А. О возмещении ущерба жертвам преступлений во Франции., Журнал российского права. 1999. N 3 - 4. С. 164 – 165,

[23] Прадель Ж. Защита свидетелей от давления. Аспекты французского уголовного права., Зарубежный опыт правового регулирования по вопросам защиты участников уголовного судопроизводства и практика его применения. М., 2000. С. 221.

2.1. საქმის მასალების გაცნობისა და სისხლის სამართალწარმოების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება

დაზარალებულმა აუცილებელია გამოიყენოს ისეთი უფლება, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის მიღებას საქმის მასალების თაობაზე. დაზარალებულის ინფორმირებულობა ასევე გათვალისწინებულია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს 2012 წლის დირექტივაში „დანაშაულის მსხვერპლის უფლებების მინიმალური სტანდარტებისა და მხარდაჭერის შესახებ“. სამართალდამცავი ორგანოები ვალდებულნი არიან დაზარალებულის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდონ მათ ამომწურავი და სრული ინფორმაცია საქმეზე. დაზარალებიულის მიერ მოთხოვნის მოუხედავად სამართალდამცავი ორგანოები ვალდებულნი არიან გააცნონ მას საქმეზე მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, ასევე სხვა სახის ინფრომაცია, როგორიცაა 1. ბრალდებულის პირველადი წარდგენა მაგისტრატ მოსამართლესთან; 2. წინასასამართლოს სხდომის გამართვა; 3. სასამართლოს მთავარი სხდომის გამართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია; 4. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვის სხდომასთან დაკავშირებულ საკითხებზე;[24] 5. სასჯელის შეფარდების შესახებ; 6. სააპელაციო და საკასაციო სასამართლო სხდომების ჩატარების შესახებ ინფორმაცია და ა.შ.

დაზარალებულს უფლება აქვს უფასოდ მიიღოს გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებათა ასლები, ასევე სასამართლოს მიერ მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილების ასლები. პროკურორი ასევე ვალდებულია დაზარალებულს გაუგზავნოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული დადგენილების ასლი. დაზარალებულის ინფორმირებულობის უფლების დაცვაზე მეტყველებს ისიც, რომ სანამ პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების თაობაზე, იგი კონსულტაციას გადის დაზარალებულთან, რის შესახებაც იგი ადგენს ოქმს, სადაც ასახულია დაზარალებულის დამოკიდებულება პროკურორის შესაძლო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. დაზარალებულის ამგვარი ჩართვა პროცესში მას აძლევს შესაძლებლობას გარკვეულწილად ზეგავლენა მოახდინოს პროკურორის

[24] თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა.,თბ. „იურისტების სამყარო“., 2014 გვ.175;

გადაწყვეტილებაზე. თავის მხრივ პროკურორმა დაზარალებულის დახმარებით უნდა მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება.[25]

დაზარალებულს ასევე უფლება აქვს მოითხოვოს ინფორმაცია ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების და მსჯავრდებულის საპატიმრო დაწესებულების შესახებ ინფორმაცია, თუ ამით რეალური საფრთხე არ ექმნება მსჯავრდებულს. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ მსაჯვრდებულს და დაზარალებულს შორის შეხვედრა გამოირიცხოს, რათა თავიდან იქნას აცლებული მათ შორის დაპირისპირება.[26]

დაზარალებულს ასევე აქვს უფლება გაეცნოს გამოძიების მიმდინარეობაზე არსებულ ინფორმაციას და სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს. თავად გამოძიების სრულყოფილად ჩატარებისთვის და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მმიზნით რიგ შემთხვევებში კარგიცაა დაზარალებულის მიერ საქმის მასალების გაცნობა, რადგან ამ შემთხვევაში შეიძლება დაზარალებულმა აღმოაჩინოს მოწმეთა ჩვენებებში უზუსტობები, რის თობაზეც აცნობებს გამომძიებელს ან პროკურორს. ასევე დაზარალებულს შეუძლია გამოძიებას მიუთითოს ისეთ მტკიცებულებებზე, რომელიც საქმეში არ ფიგურირებს, მაგრამ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას შეუწყობს ხელს.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ შეიძლება საქმის მასალების გაცნობა დაზარალებულისთვის მეტად სახიფათოც აღმოჩნდეს, რადგან თუ დაზარალებული არაკეთილსინდისიერია, იგი შეეცდება საკუთარი ჩვენების სხვის მტკიცებულებებზე მორგებას. საქმის მასალები სრულად არ შეიძლება გაეცნოს დაზარალებულს, რადგან შესაძლოა ბრალდებულის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციას შეიცავდეს ან ბრალდებულის სხვა დანაშაულში მონაწილეობის შესახებ იძლეოდეს ინფორმაციას, რითიც დაირღვევა პირის (ბრალდებულის) კონსტიტუციური გარანტიები.

---

[25] ახალაია ე., დაზარალებულის საპროცესო უფლებათა პრობლემატიკა სისხლის სამართლის პროცესში., 2018 გვ.34;

[26] თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა.,თბ. „იურისტების სამყარო“., 2014 გვ.176;

2.2. დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიღების უფლება

საქართველოს სსსკ-ის 92-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულია პირის უფლება სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით იდავოს სასამართლოში დანაშაულის შედეგად ან უკანონო საპროცესო მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. აღნიშნული უფლება გათვალისწინებულია ასევე ევროპული კონვენციით, სადაც მითითებულია, რომ სათანადოდ უნდა იქნას დაცული დაზარალებულთა უფლება მიიღონ ზიანის ანაზღაურება და დაცულ იქნას ასევე მათი სხვა უფლებებიც.[27]

გაეროს დეკლარაციის „დანაშაულებრივი ქმედებების მსხვერპლთა დაცვის შესახებ" მე-4 მუხლის თანახმად დაზარალებულს უნდა შეეძლოს სწრაფად მიიღოს ზიანის ანაზღაურება როგორც რესტიტუციის, ასევე კომპენსაციის სახით.

ზოგადად ზიანი გულისხმობს ფიზიკურ, ქონებრივ და ფსიქიკურ ზიანს. ზიანი წარმოადგენს პირის ინტერესების ხელყოფას, იქნება ეს ქონებრივი თუ არაქონებრივი არ აქვს მნიშვნელობა. ანაზღაურება შესაძლოა იყოს ან ფულადი ან ნატურის სახით.[28]

სიცოცხლის და ჯანმრთელობის უფლება წარმოადგენს ადამიანის აბსოლუტურ უფლებას, რომელიც დაცულ უნდა იქნას საგანგებოდ. სწორედ ამიტომ ზიანის ანაზღაურება გარანტირებულია ასევე სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლით, რომელშიც საუბარია სხეულის დაზიანებისას, ასევე ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე. ასეთ დროს გამოიყენება „დელიქტური" პასუხისმგებლობის ფორმა.[29]

ფიზიკური ზიანისას პირს შეიძლება წაერთვას შორმისუნარიანობა, აქედან გამომდინარე სასამართლლო ვალდებულია განსაზღვროს მიყენებული ზიანის სიმძიმე და დაადგინოს პირმა შრომისუნარიანობა დაკარგა თუ შეუმცირდა. პირის

---

[27] ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში., Oxford University Press., 2009 გვ.59;

[28] ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი., წიგნი III., თბ., „სამართალი"., 2001 გვ.452;

[29] იქვე. გვ.453;

მკურნალობისთვის აუცილებელი ხარჯები ანაზღაურდება როგორც მკურნალობის შემდეგ, ასევე მანამდეც. აღნიშნული გარემოება დაზარალებულზეა დამოკიდებული. რაც შეეხება ყოველთვიური სარჩოს გადახდას, იგი შესაძლებელია მიიღოს როგორც ფულადი სახით, ასევე ნატურით. თავად ზიანის ანაზღაურება შესაძლოა განხორციელდეს ერთბაშად, რაც დამოკიდებულია ზიანის ხარისხზე, დაზარალებულის ინტერესებზე, ზიანის ხასიათზე და ა.შ.[30]

გამომდინარე იქიდან რომ სამოქალაქო კოდექსში არაა მოცემული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის დეფინიციები, მათი განმარტება სასამართლო პრაქტიკის საქმეს წარმოადგენს. მორალურ ზიანთან დაკავშირებით ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში ერთნაირი წარმოდგენაა ძირითადად. მაგ: მორალური ზიანი წარმოადგენს ადამიანის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტრავმას, რომელსაც არ მოეძებნება ფულადი ექვივალენტი.[31]

პროფესორი თ. ნინიძე კი მიიჩნევს, რომ მორაალური ზიანი არის სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც ქონებრივი ექვივალენტი არ მოეძებნება.[32]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებული დეფინიციით კი კერძო სამართლით გათვალისწინებული სხვადასხვა ურთიერთობების შედეგად შეიძლება ადგილი ჰქონდეს მორალურ, სულიერ ტანჯვას, რომლის ანაზღაურება დასაშვებია მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, ე.ი. კანონი ზუსტად ადგენს თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეიძლება მოითხოვოს პირმა არაქონებრივი ზიანისთვის ანაზღაურება.[33]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით აღნიშნულია დაზარალებულის უფლება, სასამართლო წესით მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება. ჯანმრთელობის ხელყოფა, რის შედეგადაც დაზარალებულმა მიიღო ფსიქიკური სტრესი და განიცადა სულიერი ტანჯვა - სწორედ ესაა 413-ე მუხლით წარმოშობილი შედეგის წინაპირობა, ხოლო თუ პირი დაზიანდა ქონებრივად, დაუშვებელია ამით მიიღოს ჯანმრთელობის დაზიანება და

---

[30] მონიავა თ., პირადი არაქონებრივი უფლებები., თბ., „მერიდიანი“. 2004 გვ.58-59;
[31] ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში., თბ. „მერიდიანი“. 2006 გვ.55;
[32] სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა., თბ., „მერიდიანი“. 2016 გვ.230;
[33] მოქალაქე თ-ს საკასაციო სარჩელი საქმეზე #ას. 1156-1176- 2011.20.01. 2012;

შემდგომ ფსიქიკური ტანჯვა, რაც თავისთავად ამ საფუძვლით დაუშვებელია პირმა იდავოს სასამართლოში 413-ე მუხლით დაცული სიკეთის უზრუნველსაყოფად.

მორალურ ზიანთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია კასატორ ბ.კ-ს საქმეზე #ას-1477-1489-2011.03.04.2012 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მიყენებული ზიანის ანაზღაურება მიყენებული არაქონებრივი ზიანისათვის. სასამართლოს განმარტებით, „მორალური ზიანი“ გულისხმობს სულიერი გრძნობების და ურთიერთობების სფეროში მიყენებულ ზიანს. შესაბამისად, დაზარალებული, რომელიც მიიღებს ჯანმრთელობის დაზიანებას, თავისთავად ეს იწვევს ორგანიზმში ნეგატიურ ცვლილებებს, რაც საბოლოო ჯამში გამოიხატება დაზარალებულის ფსიქიკურ ტანჯვაში.[34]

სამოქალაქო სამართლებრივი ზიანის ასანაზღაურებლად აუცილებელია შემდეგი საფუძვლების არსებობა:

1. მორალური ზიანის ფაქტის არსებობა;
2. ზიანის მიმყენებლის მიერ არამართლზომიერი მოქმედება ან უმოქმედობა;
3. არამართლზომიერ მოქმედებასა და მორალურ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა;
4. ზიანი გამოწვეული უნდა იყოს ზიანის მიმყენებლის ბრალეული მოქმედებით ან უმოქმედობით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ისეთ დარღვევებზე, სადაც ხელყოფილია ადამიანის მორალური უფლებები, შემოიფარგლება მხოლოდ მატერიალური ანაზღაურებით, რომლის გადახდასაც აკისრებს დამრღვევ სახელმწიფოს.[35]

ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს მოვალეობაა ქვეყანაში უზრუნველყოს სამართლიანობის და მართლწესრიგის დაცვა. სწორედ ამ მიზნით მან უნდა დაიცვას ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებები. თავად მორალური ზიანი კი დაზარალებულისთვის ყველაზე მძიმეა ასატანად, ვიდრე სხვა ქონებრივი დანაშაულით დამდგარი არასასურველი შედეგი. მორალურმა ზიანმა შესაძლოა დაზარალებულს

---

[34] ახალაია ე., დაზარალებულის საპროცესო უფლებათა პრობლემატიკა სისხლის სამართლის პროცესში., 2018 გვ.29-30;

[35] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე. დ გურგენიძე.საქართველოს წინააღმდეგ. 2006 გვ.72;

დაუმახინჯოს მთლიანი ცხოვრება და ძლიერი ნერვული აშლილობის ფონზე შეიძლება განუვითარდეს სერიოზული დაავადებები, რამაც მიიყვანოს ფატალურ შედეგამდე.[36]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მორალურ ზიანს ახასიათებს ადამიანის ფსიქიკურ და სულიერ სფეროებზე ნეგატიური ზემოქმედება. ამ ფორმას მიეკუთვნება პიროვნებაზე ცრუ ცნობების გავრცელება. ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია **აშშ-ს** კალიფორნიის შტატის სასამართლო გადაწყვეტილება. სასამართლო იხილავდა ცილისწამების შესახებ ფაქტს მოპასუხის სააპელაციო სარჩელის საფუძველზე. შედეგად სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა ორი სახის პასუხისგებლობა მორალური ზიანის ასანაზღაურებლად: 1. პასუხისმგებლობა ცილისწამებისთვის და 2. პასუხისმგებლობა მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. აღნიშნული გადაწყვეტილება გაუგებრობას იწვევს, რადგან სასამართლომ ორი სახის პასუხისმგებლობა დააკისრა მაშინ, როცა ცილისწამება წარმოადგენს მორალური ზიანის ერთ-ერთ სახეს.[37]

2.3. დაზარალებულის დაცვა ხელახალი ვიქტიმიზაციისაგან

თანამედროვე ეპოქის ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში, ადამიანის უფლებების დაცვა სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა. ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის პარალელურად, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს დანაშაულის მსხვერპლის უფლებების დაცვაზეც. სისხლის სამართლის პროცესში, მრავალრიცხოვანმა ვიქტიმოლოგიურმა კვლევამ განაპირობა დაზარალებულის ყურადღების ცენტრში მოქცევა და მისი უფლებების გაფართოვება. სისხლის სამართლის პროცესი იქით უნდა იყოს მიმართული, რომ დაზარალებულის უფლებრივი

[36] ბარაბაძე გ., მართლმსაჯულება და კანონი N3, თბ, 2013 გვ.3;
[37] იქვე. გვ.3;

მდგომარეობა უფრო მეტად არ გაუარესდეს. „თუ სახელმწიფოში არ იქნება დაცული დაზარალებულის უფლებები, ეს გამოიწვევს მის უნდობლობას და სურვილს, თავად აღადგინოს სამართლიანობა. „თვითიუსტიცია“ კი დაზარალებულის მიმართ დევიქტიმიზაციის საფუძველია“.[38] დღესდღეობით ვიქტიმოლოგიის მნიშვნელობა მსოფლიო მასშტაბებით გაზრდილია, რაც განაპირობებს კიდეც მის აქტუალურობას სისხლის სამართლის პროცესში.

სიტყვა „ვიქტიმოლოგია“ ლათინური და ბერძნული წარმოშობის სიტყვებისგან შედგება: Victima – (ლათ.) „მსხვერპლი“; Logos – (ბერძ.) „სიტყვა“, „ცნება“, „მოძღვრება“. ვიქტიმოლოგია მიეკუთვნება კრიმინოლოგიის მთავარ განშტოებას, რომელიც სხვადასხვა ასპექტში შეისწავლის დანაშაულის მსხვერპლად ქცევის და დანაშაულის მსხვერპლის მდგომარეობის საკითხებს.[39] არსებობს ვიქტიმოლოგიის ვიწრო და ფართო გაგება. ვიწრო გაგებით ვიქტიმოლოგია პირს შეისწავლის როგორც დანაშაულის მსხვერპლს, მისი მსხვერპლად გახდომის გარემოს, მის მდგომარეობას როგორც მსხვერპლად გახდომამდე, ასევე მას შემდეგ. ასევე შეისწავლის დამნაშავესა და მსხვერპლს შორის ურთიერთობას. ხოლო ფართო გაგებით კი - როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების და უბედური შემთხვევების მსხვერპლს. მეცნიერების უმეტესობა მხარს უჭერს ვიქტიმოლოგიის ვიწრო გაგებას, თუმცა მისი ვიწრო გაგებაც არ იძლევა იურიდიული ცნების სრულყოფილად ჩამოყალიბების შესაძლებლობას. „ვიქტიმოლოგიაში მსხვერპლის ცნებაც ორაზროვანია, რაც უფრო ართულებს ვიქტიმოლოგიის შესწავლის საგნის ზუსტ განსაზღვრას“.[40]

ვიქტიმირების არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დამნაშავე ცდილობს მსხვერპლი თავისი დანაშაულის ობიექტად აქციოს. შესაბამისად მათი ურთიერთობა განისაზღვრება, როგორც სუბიექტის და ობიექტისა. დამნაშავეა ის, ვინც ჩაიდინა დანაშაული, ხოლო მსხვერპლია ის, ვინც განიცადა ზიანი, დაზარალდა, მიუხედავად იმისა, ეკუთვნოდა თუ არა მას ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთე ან დაზარალებულად მიჩნეული იქნება თუ არა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. სისხლის სამართლის პროცესში მსხვერპლი შეიძლება იყოს სახელმწიფო, ფიზიკური (ადამიანი) ან იურიდიული პირი (კერძო/საჯარო სამართლის), რომელსაც ფიზიკური, ქონებრივი ან მორალური ზიანი მიადგება უშუალოდ, დანაშაულის შედეგად.

---

[38] თუმანიშვილი გ., „სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა“, თბ. „იურისტების სამყარო“, 2014წ. გვ.165-166;

[39] Dussich J.P.J., “Victimology – Past, present and future” 2006 P.22-24;

[40] Kaiser G.u.a.; (Hrsg) 1993, S.583;

პირის დაზარალებულად ცნობა არაა დამოკიდებული მის ნება-სურვილზე. დაზარალებულის სტატუსით მონაწილეობისთვის აუცილებელია როგორც მატერიალური, ასევე ფორმალური წინაპირობების არსებობა. როცა პირს დანაშაულის შედეგად უშუალოდ მიადგება ფიზიკური, ქონებრივი ან მორალური ზიანი, ეს წარმოადგენს მატერიალურ წინაპირობას, ხოლო ფორმალური წინაპირობაა, როცა პროკურორი გამოიტანს დადგენილებას, პირი ცნოს დაზარალებულად ან მისი რომელიმე ახლო ნათესავი - დაზარალებულის უფლებამონაცვლედ. პირის დაზარალებულად ცნობა ხდება გამოძიების სტადიაზე, სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გაგზავნამდე, ხოლო საქმის სასამართლოში განხვილისას, სამართლებრივად დაუშვებელია.

გერმანელი მეცნიერები პიროვნების ვიქტიმიზაციას სამ ეტაპად ყოფენ:

- პირველადი (ძირითადი) ვიქტიმიზაცია
- მეორადი (არაძირითადი) ვიქტიმიზაცია
- მესამეული ვიქტიმიზაცია - ფსიქოლოგიური შედეგი

პირველადი ვიქტიმიზაციის დროს პირს ადგება მორალური, ფიზიკური ან მატერიალური ზიანი. მეორადი ვიქტიმიზაციისას, დანაშაულის მსხვერპლთან ურთიერთობაში მყოფი პირები, მორალური სახის პრეტენზიების გამოთქვამენ მის მიმართ (მაგ: პოლიციელი, ადვოკატი და ა.შ.) , ხოლო მესამეულ ვიქტიმიზაციას მაშინ აქვს ადგილი, როცა ნდობას კარგავს დანაშაულის მსხვერპლი და აღარ სჯერა, რომ დაცული იქნება დანაშაულებრივი ხელყოფისაგან როგორც სახელმწიფოს, ასევე მისი სოციალური გარემოს მხრიდან. პირველადი ვიქტიმიზაცია ხორციელდება უშუალოდ დანაშაულის ჩადენის გზით, ხოლო მეორადი ვიქტიმიზაცია კი ძირითადად ეფუძნება დაზარალებულისთვის ხელახალი ზიანის მიყენებას, რის საფუძვლადაც გვევლინება დანაშაულის მსხვერპლის რეაქცია პირველად ვიქტიმიზაციაზე.

ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ მეორადი ვიქტიმიზაცია ფსიქოლოგიურად უფრო მეტი ზიანის მომტანია დაზარალებულისთვის, ვიდრე თვითონ უშუალოდ ზიანი. დაზარალებულები ერთმანეთისგან განსხვავდებიან სხვადასხვა კატეგორიით: ასაკობრივი, აქტიური, პასიური, ინიციატივიანი, აგრესიული, ნეიტრალური მსხვერპლის ტიპები.

აგრესიული მსხვერპლის მოქმედება ვლინდება მის მიერ თავდასხმაში და ზიანის მიყენებაში, ასევე აგრესისს სხვა ფორმების გამოვლინებაში, როგორიცაა მაგ: დაცინვა.

აქტიური მსხვერპლი უშუალოდ არ ესხმის თავს არავის. უბრალოდ, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, ირიბად უწყობს ხელს მისთვის ზიანის მიყენებაში. ინიციატორი მსხვერპლი წარმოდგენილია თანამდებობის პირის ან სხვაგვარი პიროვნული თვისებების მქონე ადამიანით, რომელიც ქმედებით იწვევს მეორე მხარეს, რომ მიაყენოს ზიანი. პასიურია მსხვერპლი, რომელიც არანაირ წინააღმდეგობას არ უწევს დამნაშავეს. არაკრიტიკული მსხვერპლი ვერ ახერხებს სიტუაციის სწორად შეფასებას და ახდენს არაკრიტიკულობის დემონსტრირებას.

სამართალწარმოების პროცესში მონაწილეთა უფლებების დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს. მათ შორის დაზარალებულის უფლებებიც უნდა იქნეს დაცული მიუხედავად ზემოაღნიშნული „ტიპებისა“.

გასათვალისწინებელი და მნიშვნელოვანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული რეზოლუციები. კერძოდ კი, ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებული 2001 წლის 15 მარტის ჩარჩო გადაწყვეტილება „სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებების შესახებ“. მასში მითითებულია, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები ვალდებულნი არიან დაიცვან დაზარალებული საჭიროების შემთხვევაში, ასევე მათი ოჯახის წევრები.[41]

ასევე აღსანიშნავია, ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს დირექტივა დანაშაულის მსხვერპლის უფლებების მინიმალური სტანდარტების შესახებ, სადაც არის იმ ღონისძიებების ჩამონათვალი, რაც გამოყენებულ უნდა იქნეს მსხვერპლისა და მისი ოჯახის სხვა წევრების დასაცავად.

სისხლის სამართალში არსებობს განმეორებითი ვიქტიმიზაციის ცნებაც. ერთი და იმავე პირმა შეიძლება განმეორებით ჩაიდინოს დანაშაული, შეაბამისად ერთი და იგივე პირი შეიძლება განმეორებით გახდეს დანაშაულის მსხვერპლი. მიჩნეულია, რომ განმეორებით ვიქტიმიზციას ხელს უწყობს წინა დანაშაულის წარმატებით განხორციელება. ყოველი შემდგომი ვიქტიმიზაცია უფრო ნაკლებ რისკთანაა დაკავშირებული და მეორდება წინა დანაშაულის ობიექტური მხარე. იმისთვის, რომ არ მოხდეს დანაშაულის მსხვერპლის ხელახალი ვიქტიმიზაცია, კანონმდებლობით

[41] ევროკავშირის საბჭო, „სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებების შესახებ“ ჩარჩო გადაწყვეტილება, 2001წ. 15 მარტი, მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი

გათვალისწინებულია დაზარალებულის დაცვის მექანიზმები.[42] საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული დაცვის მექანიზმები მოქმედებს დაზარალებულის ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებზეც. ერთ-ერთი ასეთი მექანიზმია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება. სსსკ-ის 57-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია დაზარალებულის უფლება, მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება, თუკი საფრთხე ემუქრება როგორც მის, ისე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან საკუთრებას. სისხლის სამართლის კოდექსით ასევე გათვალისწინებულია დაზარალებული-მოწმის დაკითხვა გამოძიების ეტაპზე მაგისტრატ მოსამართლესთან, რათა თავიდან იქნას აცილებული დაზარალებულის პირისპირ შეხვედრა დამნაშავესთან. დაზარალებულის დამნაშავესთან შეხვედრამ შეიძლება უფრო გაუღრმაოს დანაშაულის მსხვერპლს ფსიქიკური დაძაბულობა, სულიერი ტკივილი და შიში. ამიტომ ეს მექანიზმიც მისი უფლებების დაცვას ემსახურება.

დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციისაგან დასაცავად, სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულია დაზარალებულის უფლება, მიმართოს ბრალდების მხარეს სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ შუამდგომლობის დაყენების მოთხოვნით (სსსკ-ის 57-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი). ასევე სასამართლომ, დაზარალებულის ინტერესების და უფლებების დასაცავად, საკუთარი ინიციატივით შეიძლება სასამართლო სხდომა ნაწილობრივ ან სრულად დახურულად გამოაცხადოს (სსსკ-ს 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი). ზემოაღნიშნული მექანიზმი ეხება ძირითადად ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლს.

ვიქტიმოლოგიის განხილვისას საგულისხმოა ასევე ისეთი საკითხის განხილვა, როგორიცაა „მსხვერპლი, როგორც დამნაშავე“. რეალურ ცხოვრებაში არსებობს ისეთი შემთხვევები, როცა მსხვერპლი თავად ახდენს დამნაშავის პროვოცირებას და უბიძგებს მას დანაშაულის ჩადენისკენ. ასეთი შემთხვევები ხდება მაშინ, როცა დანაშაულის ჩადენამდე დამნაშავესა და დანაშაულის მსხვერპლს შორის იყო დაძაბული ურთიერთობა, მწვავე კონფლიქტი. თუკი დამნაშავე არ მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ან უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში, ამ შემთხვევაშიც სისხლის სამართლის კანონმდებლობით დაცულია დაზარალებულის საპროცესო უფლებები. ზემოაღნიშნულის დროს, ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება ვერ მოხდება მხოლოდ დამნაშავეზე ზემოქმედებით. მას არ ექნება შესაბამისი შედეგი და ეფექტი.

[42] European parliament and council, Directave 2012/29.EU, „Support and protection of victims of crime“, 25 Octomber 2012 establishing minimum standarts on the rights.

თუმცა, ბრალეულობის მთლიანად დამნაშავიდან დანაშაულის მსხვერპლზე გადატანა, საფუძველს მოკლებულია.

ხელახალი ვიქტიმიზაციისაგან დასაცავად საჭიროა ყოველდღიურ ცხოვრებაში, რათა კონფლიქტი იქნას თავიდან აცილებული. თუ ეს არ მოხდება, არაა გამორიცხული, რომ დამნაშავემ ხელახლა მიაყენოს ზიანი დანაშაულის მსხვერპლს. საჭიროა სახელმწიფომ აკონტროლოს სამართალდამცავი ორგანოების მოქმედება, რათა გამოძიების დროს მინიმუმამდე იქნას დაყვანილი დაზარალებულის რევიქტიმიზაცია.

2.4. დაზარალებულის უფლებები საპროცესო შეთანხმებისას

საპროცესო შეთანხმების დადებისას დაზარალებული უფლებები გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლში, სადაც აღნიშნულია, რომ პროკურორი ვალდებულია საპროცესო შეთანხმების დადებისას დაზარალებულთან გაიაროს კონსულტაცია და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების დადების საკითხი. აღნიშნულ მუხლში საუბარია მხოლოდ კონსულტაციის გავლაზე და ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებაზე, მაგრამ არაფერია ნათქვამი დაზარალებულის მოსაზრებების გათვალისწინებაზე. მხოლოდ კონსულტაცია არაფრის მომტანია, თუ მას დაზარალებულისთვის კონკრეტული შედეგების მოტანა არ შეუძლია. დაზარალებულის უარი არ წარმოადგენს საპროცესო შეთანხმების გაფორმების დამაბრკოლებელ გარემოებას, თუმცა პროკურორმა უნდა ითანამშრომლოს დაზარალებულთან და გაითვალისწინოს მისი პოზიცია.[43]

2014 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად დაზარალებულს მიენიჭა უფლება სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას წერილობით ან სასამართლო სხდომაზე ზეპირად მოსამართლეს მიაწოდოს ინფორმაცია იმ ზიანზე, რომელიც მას მიადგა დანაშაულის შედეგად. აღნიშნულით რა თქმა უნდა სრულად არ რეგულირდება დაზარალებულად ცნობის მატერიალური საფუძვლები და ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ფაქტობრივი ზიანის მიყენების ფაქტზე. დაზარალებულს ასევე არ აქვს უფლება გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება. თუმცა უმჯობესი იქნებოდა

[43] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია., დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში (საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები) თბ. 2016 გვ.18;

თუკი დაზარალებულის პოზიციას გაითვალისწინებდნენ საპროცესო შეთანხმების დადებისას.

საპროცესო შეთანხმების დადებისას დაზარალებულის ზემოაღნიშნული უფლება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან პრაქტიკაში არსებული რეალობით დგინდება, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას ხშირად დაზარალებულის ინტერესებს სასამართლო უგულებელყოფს და განაჩენშიც არ ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, პროკურორს ჰქონდა თუ არა დაზარალებულთან თანამშრომლობა და გავლილი კონსულტაცია. ასეთი მიდგომა ხშირად იწვევს იმასაც, რომ დაზარალებული საერთოდ არც იყენებს ზოგჯერ აღნიშნულ უფლებას და საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას არ მიმართავს სასამართლოს და არ აცხადებს ზეპირად ან წერილობით იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის ჩადენის შედეგად მიადგა.

იშვიათია შემთხვევა, როცა სასამართლო ხაზს უსვამს იმას, რომ სასჯელის ხანგრძლივობა და ციხეში გატარებული დრო არის პრევენციის საშუალება, რაც აძლევს დამნაშავეს შესაძლებლობას იფიქროს იმაზე, თუ რა ზეგავლენა იქონია მისმა ქმედებამ დაზარალებულზე, იფიქროს მის შეცდომაზე და შეცვალოს ცხოვრების წესი.[44]

საპროცესო შეთანხმების დადებამდე მართალია კანონმდებლობა ავალდებულებს პროკურორს კონსულტაცია გაიაროს დაზარალებულთან და გაარკვიოს მისი დამოკიდებულება, მაგრამ მას რა პოზიციაც არ უნდა ჰქონდეს, რომც ეწინააღმდეგებოდეს კატეგორიულად, პროკურორს მაინც შეუძლია გააფორმოს საპროცესო შეთანხმება დაზარალებულთან.

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც მოიცავდა 2015 წლის იანვრიდან 2015 წლის დეკემბრის ჩათვლით არსებითი განხილვის გარეშე მიღებულ გადაწყვეტილებათა განხილვას. მათი ოდენობა საერთო ჯამში იყო 3134, თუმცა გამოთხოვის შედეგად მათ შეისწავლეს 27 არსებითი განხილვის გარეშე მიღებული განაჩენი, რომელთაგან მხოლოდ 6-ში მიუთითა მოსამართლემ ის, რომ პროკურორმა დაზარალებულთან გაიარა კონსულტაცია და შეადგინა შესაბამისი ოქმი. დანარჩენ შემთხვევებში მოსამართლემ უგულებელყო დაზარალებულის ინტერესები, მათ შორის ისეთ საქმეებზეც, როგორიცაა ცემა და ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

---

[44] იქვე. გვ.20;

საქართველოში მოქმედი საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი არაა აშშ-ში არსებული „ბრალის აღიარებაზე გარიგების“ იდენტური რეგულაცია, ასევე არც ევროპის ქვეყნებში და არც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში არსებული საპროცესო შეთანხმებების მსგავსია.[45] საპროცესო შეთანხმების ფორმა საქართველოში თავად შექმნეს პრაქტიკოსმა იურისტებმა და ქართველმა კანონმდებლებმა.

თავი III. არასრულწლოვანი დაზარალებული

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის, რომელიც მიღებულ იქნა 2015 წლის 12 ივნისს, მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად არასრულწლოვნად ითვლება 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი დაზარალებული, არასრულწლოვანი მოწმე, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი. კონკრეტულად სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისთვის პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი.

რაც შეეხება არასრულწლოვან დაზარალებულს, მისი დეფინიცია მოცემულია ზემოაღნიშნული მუხლის მე-13 პუნქტში, სადაც აღნიშნულია, რომ არასრულწლოვანი დაზარალებულია ის არასრულწლოვანი , რომელსაც მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან დანაშაულის შედეგად.

არასრულწლოვან დაზარალებულს საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით ენიჭება ყველა უფლება და ეკისრება ყველა მოვალეობა, რაც არასრულწლოვან მოწმეს. არასრულწლოვან დაზარალებულს უფლება აქვს საპროცესო მოქმედების ჩატარებისას ჰყავდეს ადვოკატი და ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით. საჭიროების შემთხვევაში ასევე

[45] მამნიაშვილი მ., სისხლის სამართლის პროცესი კერძო ნაწილი. თბ., „იურისტების სამყარო“., 2013 გვ.200;

ფსიქოლოგის მომსახურებითაც, რომელიც მონაწილეობს საპროცესო მოქმედებაში და ახორციელებს მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას.

იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი დაზარალებულის კანონიერი ინტერესები ამას მოითხოვს, პროკურორი უფლებამოსილია არასრულწლოვანი დაზარალებულის კანონიერ წარმომადგენელს აუკრძალოს საპროცესო მოქმედებაზე დასწრება. არასრულწლოვანი დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინებით სისხლის სამართლის საქმეში შესაძლებელია ჩაერთოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი. როდესაც მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორისთვის ცნობილი გახდება მისი სისხლის სამართლის საქმეში ჩართულობა, იგი დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეს არასრულწლოვან დაზარალებულს მისი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით, ასევე უნდა განუმარტოს არასრულწლოვან დაზარალებულს მისთვის გასაგებ ენაზე უფლება-მოვალეობები და აუხსნას გამოძიების და სასამართლო განხილვის მიმდინარეობის შესახებ.

არასრულწლოვანი დაზარალებულის ინტერესების დასაცავად მოსამართლე უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით, დაზარალებულის, მისი კანონიერი წარმომადგენლის, ადვოკატის ან პროკურორის სუამდგომლობით გამოიტანოს განჩინება:

1. არასრულწლოვანი დაზარალებულის გამოსახულების ან ხმის შემცვლელი მოწყობილობის გამოყენების, ასევე გაუმჭვირვალე ეკრანს მიღმა მისი დაკითხვის ან დისტანციურად დაკითხვის შესახებ;
2. სასამართლო სხდომამდე ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობით არასრულწლოვანი დაზარალებულის დაკითხვის და დაკითხვის ვიდეოგადაღების შესახებ;
3. სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ;
4. ბრალდებულის დროებით სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანის შესახებ, თუ არასრულწლოვანი დაზარალებული უარს ამბობს ბრალდებულის თანდასწრებით ჩვენების მიცემაზე ან თუ არსებული გარემოებები ცხადყოფს, რომ შეიძლება არასრულწოვანმა დაზარალებულმა ბრალდებულის თანდასწრებით არ თქვას სიმართლე ან მოხდეს მისი მეორეული ვიქტიმიზაცია. ამ შემთხვევაში სავალდებულოა საქმის სასამართლოში განხილვაში ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობა.

ასევე არასრულწლოვან დაზარალებულს უფლება აქვს მიიღოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება და კომპენსაცია.

თავი IV. დაზარალებული, როგორც მოწმე

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 პუნქტით მოცემულია მოწმის დეფინიცია. კერძოდ, „მოწმე არის პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი. პირი მოწმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ“.

სისხლის სამართლის საქმეზე მეტად მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიღება ისეთი პირისგან, ვინც უშუალოდ შეესწრო დანაშაულს. იგი მაქსიმალური სიზუსტით ასახავს რეალობას და სწორედ ამიტომაცაა მნიშვნელოვანი „დაზარალებული“ მოწმისგან ინფორმაციის მიღება.[46]

[46] გახოკიძე ჯ., მამნიაშვილი მ., გაბისონია ი., ჯანაშია ჯ., ტალიაშვილი ა., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილი.,თბ., „იურისტების სამყარო“., 2013 გვ.178;

სისხლის სამართლის პროცესში პირის მოწმედ აღიარებისთვის აუცილებელია ორი დამოუკიდებელი პირობის არსებობა: 1. შინაარსობრივი და 2. ფორმალური. შინაარსობრივი მხარე გულისხმობს იმას, რომ მოწმე არის პირი, რომელმაც უშუალოდ დაინახა, მოისმინა, შეესწრო ისეთ ქმედებას, რომელიც დანაშაულს წარმოადგენს და მის მიერ მიცემული ჩვენება ხელს შეუწყობს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. ფორმალურ პირობაში კი იგულისხმება პირის მიერ მოწმის სტატუსის მიღება მას შემდეგ, რაც მას გააფრთხილებენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ მას შემდეგ, თუ იგი განზრახ ცრუ ჩვენებას მიაწვდის სამართალდამცავ ორგანოებს.[47] დაზარალებულს ასევე აქვს უფლება პროცესში ერთდროულად მონაწილეობდეს როგორც დაზარალებულის, ასევე მოწმის სტატუსითაც.[48]

დაზარალებული ვალდებულია საქმეზე გამოვიდეს როგორც მოწმე. ერთმანეთისგან განასხვავებენ მოწმის 2 სახის ვალდებულებას: 1. წინასწარი გამოძიების ეტაპზე მისცეს ჩვენება და 2. სასამართლოში მისცეს ჩვენება.[49]

წინასწარი გამოძიები ეტაპზე ჩვენების მიცემისას „დაზარალებული“ მოწმის მიმართ მოქმედებს 1998 წლის 20 თებერვლის კოდექსით დადგენილი წესი, რომ ზოგიერთ დანაშაულთა საქმეზე დაზარალებული მოწმე ვალდებულია მისცეს ჩვენება საგამოძიებო ორგანოში გამომძიებელს ან პროკურორს როგორც მოწმემ. რაც შეეხება მეორე სახის დაკითხვის წესს, მოწმე ვალდებულია ნებისმიერ შემთხვევაში, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა, სასამართლოს წინაშე წარსდგეს და დაიკითხოს როგორც მოწმე იმ საქმეში, რომელშიც იგი დაზარალებულია.[50]

მნიშვნელოვანია ასევე მოწმის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სისხლის სამართლის პროცესში არსებული შესაძლებლობების განხილვა. კერძოდ, მოწმის დაკითხვის შესაძლებლობა იმავე ან სხვა სასამართლოდან. სსსკ-ის 57-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად დაზარალებულს აქვს უფლება ბრალდების მხარეს მიმართოს იშუამდგომლოს სასამართლოში სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე. იმ შემთხვევაში თუ საქმე ეხება ადამიანით ვაჭრობას ან სქესობრივ

---

[47]იქვე. გვ.179;

[48] ლალიაშვილი თ., სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილი., თბ., „იურისტების სამყარო“., 2015 გვ.307;

[49] გახოკიძე ჯ., მამნიაშვილი მ., გაბისონია ი., ჯანაშია ჯ., ტალიაშვილი ა., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილი.,თბ., „იურისტების სამყარო“ 2013 გვ.181;

[50] ახალაია ე., დაზარალებულის საპროცესო უფლებათა პრობლემატიკა სისხლის სამართლის პროცესში., 2018 გვ.47;

დანაშაულს, სასამართლოს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით დახუროს სასამართლო სხდომა ნაწილობრივ ან სრულად.[51]

მოწმეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლით უფლება აქვს:

1. იცოდეს რის გამო გამოიძახეს, თუ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, ჩვენება მისცეს მშობლიურ ენაზე ან მისთვის სასურველ სხვა ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნით სახელმწიფოს ხარჯზე;
2. არ მისცეს ისეთი ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს;
3. გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო სხდომის ოქმს, მოითხოვოს მასში შენიშვნების და დამატებების შეტანა;
4. მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება;
5. მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში.

მოწმე ვალდებულია:

1. გამოცხადდეს სასამართლოს გამოძახებისას;
2. უპასუხოს დასმულ კითხვებს;
3. დაიცვას წესრიგი სასამართლო განხილვის დროს;
4. არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები თუკი ამის შესახებ სასამართლომ გააფრთხილა;
5. სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე არ დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი.

ზემოაღნიშნული მოწმის უფლება-მოვალეობებით სარგებლობს ასევე დაზარალებულიც.

[51] იქვე.

თავი V. კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები და პრობლემატიკა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრული ფორმით შეუსაბამობა ევროპარლამენტის მიერ მიღებულ დირექტივასთან „დანაშაულის მსხვერპლის უფლებების მინიმალური სტანდარტებისა და მხარდაჭერის შესახებ“ (2012/29/EU) ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. აღნიშნული დოკუმენტი მეტად მნიშვნელოვანია დაზარალებულთა უფლებების დაცვის კუთხით და სწორედ ამიტომ ქართველმა კანონმდებლებმა უნდა გაამახვილონ მასზე ყურადღება და მოახდინონ მისი იმპლემენტაცია. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ კუთხით დაზარალებულის მიმართ სახელმწიფოს მხარდაჭერა. მართალია აღნიშნული დირექტივა სრულყოფილად ვერ პოვებს ასახვას ქართულ საპროცესო

კანონმდებლობაში, მაგრამ ძირითადი რეგულაციების ასახვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში აუცილებელია.

ასევე უნდა აღვნიშნოთ პირის დაზარალებულად ცნობის პრობლემატიკაც. ისეთი დანაშაულების შემთხვევაში, რომლებიც მძიმე ან ნაკლებად მძიმე კატეგორიას მიეკუთვნებიან, დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარის მიღების შემთხვევაში დაზარალებულს უფლება აქვს მხოლოდ ზემდგომ პროკურორთან გაასაჩივროს და არა სასამართლოში. ზემდგომი პროკურორი იგივე საგამოზიებო ორგანოს წარმომადგენელია, ამიტომ ნაკლებადაა მოსალოდნელი, რომ მან მიიღოს დაზარალებულის სასარგებლოდ გადაწყვეტილება. სწორედ ამიტომ დაზარალებულს უნდა შეეძლოს პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა დაზარალებულს დაუსაბუთებელ უარს ეუბნებიან ინფორმაციის მიცემაზე, რაც ასევე პრობლემას წარმოადგენს. ამიტომ აუცილებელია დაზარალებულსა და პროკურორს შორის აქტიური, ეფექტური კომუნიკაციის დამყარება. სამართალდამცავ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ ვალდებულება, რომ მოახდინონ დაზარალებულის ინფორმირება, რასაც შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი ჰქონდეს გამოძიებისთვის.

ასევე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ კანონმდებლობაში საუბარია მხოლოდ ზიანის სახეებზე და მათი ანაზღაურების შესაძებლობაზე, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რა კრიტერიუმების მიხედვით უნდა ხდებოდეს ზიანის ანაზღაურება. სწორედ ამიტომ აუცილებელია კანონმდებლობით იქნას გათვალისწინებული ის კრიტერიუმები, რომლითაც მოხდება ზიანის ანაზღაურება ძირითადი პროცესის პარალელურად, რითიც დაზარალებულის ინტერესები დაცული იქნება სრული მოცულობით.

ასევე აუცილებელია დაზარალებულის პოზიციის გათალისწინება ხდებოდეს საგამოძიებო ორგანოთა მხრიდან, რადგან დღევანდელი კანონმდებლობით პროკურორი დაზარალებულტან მხოლოდ კონსულტაციით შემოიფარგლება, ისმენს მისგან პოზიციას, თუმცა საბოლოოდ ეს ხელს არ უშლის მას მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, როგორიც თავად სურს.

ასევე მნიშვნელოვანია დაზარალებული მოწმის უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები. მაგ: იმ საქმეზე, სადაც დაზარალებულმა განიცადა სექსუალური ძალადობა ან იძულება, მისი მხრიდან სასამართლო პროცესზე საჯაროდ მოყოლა დეტალების მეტად რთულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში აყენებს, როცა პროცესს ესწრება თავად ბრალდებულიც. აღნიშნული

იწვევს დაზარალებულის ხელახალ ვიქტიმიზაციას. ასეთი პროცესების დახურვის უფლება აქვს ბრალდების მხარეს ან მოსამართლეს. იმ შემთხვევაში თუ ისინი ამ უფლებით არ ისარგებლებენ, მაშინ დაზარალებული სრულად დაუცველი ხდება. ასეთ შემთხვევებში აუცილებელია თავად დაზარალებულს მიეცეს უფლება გამონაკლის შემთხვევებში დააყენოს შუამდგომლობა, რათა დახურულად გამოცხადდეს სხდომა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს დაზარალებულის საპროცესო უფლებათა განხორციელების ასპექტი. საკმაოდ მაღალია დაზარალებულისთვის ხელახალი ზიანის მიყენების პოტენციური საშიშროება როგორც სასამართლოში, ასევე საგამოძიებო ორგანოებთან კომუნიკაციის პროცესში. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფომ მოამზადოს აღნიშნული პირები დაზარალებულთან კომუნიკაციის კუთხით და ამ ფორმით მოხდეს დაზარალებულისთვის განმეორებითი ზიანის მიყენების თავიდან აცილება.

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ დაზარალებულს პროკურორსა და ბრალდებულს შორის საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას უფლებები არ გააჩნია ფაქტობრივად. მას არ აქვს უფლება გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება. მეტად ბუნდოვანია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლი, რადგან გაუგებარია პროკურორმა რა მიზნით უნდა ჩაუტაროს კონსულტაცია დაზარალებულს და რა შედეგი მოჰყვება მას. კოდექსით ასევე არაა გათვალისწინებული დაზარალებულის საპროცესო განხილვაში მონაწილეობის შესაძლებლობა და მისი როლი მეტად შევიწროვებულია. მას არ გააჩნია რეალური ბერკეტები. საპროცესო შეთანხმების ოქმში კარგი იქნება თუ აისახება შემდგომში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. იმისთვის, რომ მართლმსაჯულების ინსტიტუტისადმი ნდობა ამაღლდეს, სასურველია აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტების ეფექტურად დანერგვა და დაზარალებულის უფრო მეტი აქტივობით ჩართვა საპროცესო შეთანხმების გაფორმების პროცესში.

თავი VI. რეკომენდაციები

ნაშრომზე მუშაობისას გამოიკვეთა ის ძირითადი რეკომენდაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ დაზარალებულის საპროცესო უფლებების ეფექტურ რეალიზაციას და დაცვას.

1. უნდა განხორციელდეს დაზარალებულის უფლებების გაზრდა პროკურორის ცალკეული გადაწყვეტილებების გასაჩივრებასთან დაკავშირებით. დაზარალებულს უნდა ჰქონდეს უფლება სასამართლოში გაასაჩივროს ყველა კატეგორიის დანაშაულზე დაზარალებულად

ცნობასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება. ასევე დაზარალებულს უნდა ჰქონდეს უფლება გაასაჩივროს სასამართლოში დევნის დაწყებაზე უარის თქმის ან შეწყვეტის შსახებ პროკურორის გადაწყვეტილება;

2. დაზარალებულს უნდა შეეძლოს სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების მიღება სახელმწიფოს ხარჯზე, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს. ასევე საქმის მასალების გადაცემაზე პროკურორის ან გამომძიებლის უარი აუცილებლად უნდა იყოს დასაბუთებული;
3. აუცილებელი და სავალდებულო უნდა იყოს დაზარალებულის ინფორმირებულობა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ბრალდებულის პირველი წარდგენა მაგისტრატ მოსამართლესთან, წინასასამართლო სხდომა, საპროცესო შეთანხმების სხდომა და სხვ.;
4. დაზარალებულს უნდა ჰქონდეს უფლება ავტომატურად, მის მიერ შეტყობინების გაკეთების გარეშე მიიღოს ინფორმაცია იმ აღკვეთის ღონისძიების შესახებ , რომელიც იქნა გამოყენებული ბრალდებულის მიმართ, ასევე ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვების შესახებ ინფრომაცია, თუ ამით სსაფრთხე არ ემუქრება თავად ბრალდებულს/მსჯავრდებულს;
5. ასევე დაზარალებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მოხდეს მისი დაკიტხვა დისტანციურად, ისე, რომ გამორიცხული იყოს ბრალდებულის დასწრება. აღნიშნული რეკომენდაცია ეხება ძირითადად განსაკუთრებით მგრძნობიარე დაზარალებულებს, რომელთა ფსიქიკასაც სერიოზული საფრთხე ექმნება ბრალდებულთან შეხვედრისას;
6. დაზარალებულს ასევე უნდა ჰქონდეს უფლება, რომ მოითხოვოს დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. იმ შემთხვევაში თუ პროკურორი არ გაითვალისწინებს დაზარალებულის მითითებას დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ, მან უნდა დაასაბუთოს უარის თქმის გადაწყვეტილება და წარმოადგინოს შესაბამისი არგუმენტები;
7. ასევე მოსამართლე ვალდებული უნდა იყოს განიხილოს დაზარალებულის მოსაზრებები სასჯელის პროპორციულობის და მიზანშეწონილობის შესახებ. იმ შემთხვევაში თუ დაზარალებულის ინტერესები ობიექტურად არ იქნება შეფასებული, არ დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება და საქმე უკან დაუბრუნოს პროკურორს. ეს ყოველივე საჭიროა იმისთვის, რომ სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლს არ ჰქონდეს მხოლოდ ფორმალური ხასიათი;

8. დაზარალებულს გამონაკლის შემთხვევებში უნდა მიენიჭოს უფლება განაცხადოს შუამდგომლობა სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ. აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დასაბუთდეს დაზარალებულის ინტერესებით, მაგ: იმით, რომ შესაძლოა საფრთხე შეექმნას დაზარალებულის ჯანმრთელობას ან ქონებას.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დაზარალებულის საპროცესო უფლებების დაცვა მეტად მნიშვნელოვანია როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებში. დაზარალებული დღესდღეობით გვევლინება პროცესის მონაწილის სტატუსით. მის სამართლებრივ მდგომარეობაზე

მსჯელობს სხვავადსხვა ქვეყნებში არსებული საერთაშორისო ორგანიზაციებიც და მიჩნეულია, რომ დაზარალებულის როლი უნდა იყოს გათვართოებული სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას. კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ხელს უშლის დაზარალებულს სრულყოფილად იქნას ჩართული სამართალწარმოების პროცესში. მიუხედავად ცვლილებებისა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, დაზარალებულთა უფლებები მაინც შეზღუდულია. უნდა გაიზარდოს დაზარალებულთა უფლებები, თუმცა ეს არ უნდა მოხდეს დაცვის მხარის უფლებების შეზღუდვის ხარჯზე.

დანაშაულის მსხვერპლს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გამოძიების საწყის ეტაპზევე ჩაერთოს სამართალწარმოებაში, დაუბრკოლებლად მიიღოს დაზარალებულის ან დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი. ასევე მნიშვნელოვანია დაზარალებულს ჰქონდეს უფლება ყველა კატეგორიის დანაშაულის საქმეზე გაასაჩივროს პროკურორის გადაწყვეტილება. ის, რომ დაზარალებული ნაკლებად მძიმე ან მძიმე კატეგორიის დანაშაულის საქმეებზე არ სარგებლობს გასაჩივრების უფლებით, ეს ადამიანს ართმევს შესაძლებლობას თავისი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოსწორებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება დაზარალებულის უფლებები და მისი ინტერესები იქნება დაცული სრულყოფილად, რაც წარმოადგენს კიდეც საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას.

ბიბლიოგრაფია

<u>ნორმატიული მასალა:</u>

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი., 2009; (კონსოლიდირებული ვერსია);
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი., 1997; (კონსოლიდირებული ვერსია).
3. ლატვიის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლი. 1998;
4. უზბეკეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლი. 1994;
5. ყირგიზეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლი. 1997;
6. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი., 250-ე მუხლი. 1998.

<u>სამეცნიერო ლიტერატურა:</u>

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები., „მერიდიანი“., 2015;
2. შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია-მეცნიერება დანაშაულის შესახებ.,თბ., „მერიდიანი“., 2011;
3. ტრექსელი, შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში., Oxford University Press, 2009;
4. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა.,თბ. “იურისტების სამყარო“., 2014;
5. ახალაია ე., დაზარალებულის საპროცესო უფლებათა პრობლემატიკა სისხლის სამართლის პროცესში.,თბ., 2018;
6. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი., წიგნი III.,თბ. „სამართალი“., 2001;
7. მონიავა თ., პირადი არაქონებრივი უფლებები., თბ., „მერიდიანი“., 2004;
8. ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში., თბ. „მერიდიანი“., 2006;

9. სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა., თბ. „მერიდიანი“., 2016;
10. მოქალაქე თ-ს საკასაციო სარჩელი საქმეზე #ას. 1156-1176- 2011.20.01. 2012;
11. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე. დ გურგენიძე.საქართველოს წინააღმდეგ. 2006;
12. ბარაბაძე გ., მართლმსაჯულება და კანონი N3, თბ, 2013;
13. ევროკავშირის საბჭო, „სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებების შესახებ“ ჩარჩო გადაწყვეტილება, 2001;
14. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია., დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში (საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები) თბ. 2016;
15. მამნიაშვილი მ., სისხლის სამართლის პროცესი კერძო ნაწილი. თბ., „იურისტების სამყარო“., 2013;
16. გახოკიძე ჯ., მამნიაშვილი მ., გაბისონია ი., ჯანაშია ჯ., ტალიაშვილი ა., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილი.,თბ. „იურისტების სამყარო“., 2013;
17. ლალიაშვილი თ., სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილი., თბ. „იურისტების სამყარო“., 2015;

<u>უცხოური ლიტერატურა:</u>

1. Зайцев О.А. Государственная защита участников уголовного процесса., М., 2002;
2. Воробьев И.А. Организованная преступность и борьба с ней в Германии. М., 1996;
3. Меньших А. А. О возмещении ущерба жертвам преступлений во Франции., Журнал российского права. М.1999;
4. Прадель Ж. Защита свидетелей от давления. Аспекты французского уголовного права., Зарубежный опыт правового регулирования по вопросам защиты участников уголовного судопроизводства и практика его применения. М., 2000;

5. Treaty on the Functioning of the EU, Article 82 2 (c);
6. Victims of crime in the EU: the extent and nature of support for victims, European Union Agency for Fundamental Rights, Luxembourg, 2014, 28;
7. Smith C. Alyna., GUIDE TO THE EU VICTIMS' DIRECTIVE: ADVANCING ACCESS TO PROTECTION, SERVICES AND JUSTICE FOR UNDOCUMENTED MIGRANTS, 2015, 12;
8. DIRECTIVE 2012/29/EU OF THE EUROPIAN PARLIAMENT AND OF THE COUNSIL of 25 October 2012, establishing minimum standards on the right, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Article 2;
9. Dussich J.P.J., "Victimology – Past, present and future" 2006;
10. Kaiser G.u.a.; (Hrsg) 1993, S.583;
11. European parliament and council, Directave 2012/29.EU, „Support and protection of victims of crime", 25 Octomber 2012 establishing minimum standarts on the rights;

<u>ინტერნეტ-რესურსები:</u>

1. https://emc.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98_1561546025.pdf [07.07.2019]